წელიწადი პირველი.

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კოშკი

საქ. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის ⁄ ალმასკომის ყოველ-კვირეული ორგანო.

რედაქცია: დრ. მოთავსებულია— ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილების შენობაში)

ყოველგვარი მასალები, კორესპოდენციები და განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ამხ. ვ. ნადარეიშვილის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფ.)

პირადათ მოლაპარაკება რედაქციის პას. მგ. მდივან ამხ. ვ. დარეიშვილთან შესაძლებელია ყოველდღე (გარდა უქმე დღეებ[illegible] დილის 11-დან ნაშვ. 2 საათამდ[illegible]

ტელეფონი—განათლების გ[illegible]

№ 8 პარასკევი 17 ივნისი, 1923 წ. ყოველ-კვირეული გაზეთი ფასი 25,000 მან. №

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიან გადასახადზე.

გადასახადის საკითხი ერთი მწვავე საკითხთაგანია ჩვენი გლეხობისათვის. ჩვენს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას აქვს თავისი ხარჯები, რომლის დასაფარავად მას სჭირია ფული. დღეს ჩვენი რესპუბლიკის მთელ ხარჯებს ფარავს შემოსავლის შემდეგი სამი წყარო: ა) გადასახადები, ბ) ემისია (ფულის მოჭრა) და გ) შემოსავალი წარმოებიდან. რასაკვირველია, სასურველია ისეთი მდგომარეობა, როდესაც რესპუბლიკის მთელი ხარჯები იფარებოდეს იქნება მხოლოდ წარმოებიდან შემოსავლით. სწორეთ აქეთკენაა მუშურ-გლეხური მთავრობის მთელი ცდა მიმართული და ყურადღება მიპყრობილი. მაგრამ, სამწუხაროთ, რამდენიმე წლის დაპყრობით და სამოქალაქო ომის გამო დანგრეული და დასუსტებული ჩვენი წარმოება ჯერ ჯერობით იმდენათ ვერაა აღდგენილი და მოღონიერებული, რომ მისმა შემოსავალმა დაფაროს არამც თუ რესპუბლიკის მთელი ხარჯები, არამედ მისი ნახევარიც კი. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი მთავრობა იძულებულია მიმართოს ემისიასაც და გადასახადებსაც. გადასახადი, მიუხედავათ მისი სიმცირისა, მძიმე ტვირთია ჩვენი გლეხობისათვის, რომლის ქონებრივ მდგომარეობაზე ხანგრძლივმა ომმა თავისი გამანადგურებელი გავლენა იქონია. რამდენათ გაჯანსაღდება ჩვენი მეურნეობა და მეტს შემოსავალს მისცემს რესპუბლიკას, იმდენათ შემცირდება გადასახადიც.

გადასახადის სიმძიმე ჩვენი გლეხობისათვის უფრო საგრძნობია მაშინ, როდესაც მისი რაოდენობა წლის განმავლობაში გლეხისათვის განსაზღვრული არ არის; როდესაც გლეხმა არ იცის, როდის მოიხდის ის თავის მოვალეობას ამ მხრივ რესპუბლიკის წინაშე განსაზღვრული დროის, თუ გინდ ერთი წლის, განმავლობაში. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო ჩვენი გლეხი სხვა და სხვა სახის გადასახადების არსებობის გამო უკანასკნელ დრომდი. გლეხმა, რომელმაც დღეს გადაიხადა სკოლის დარაჯის, ანუ სასურსათო გადასახადი, არ იცოდა-ხვალ მას რა გადასახადს და რა რაოდენობისას მოსთხოვდენ. ასეთი მდგომარეობა გლეხს აშფოთებდა, მოსვენებას არ აძლევდა.

მუშურ — გლეხურმა მთავრობამ, რომელიც ხორცი და სისხლია მუშის და გლეხის ხორცისა და სისხლისაგან, გაითვალისწინა გლეხის ეს მდგომარეობა და მიმდინარე წლის 2 აპრილის დეკრეტით გააუქმა ყველა არსებული სხვა და სხვა სახის გადასახადები სოფლის მეურნეზე და მის ნაცვლად შემოიღო ერთიანი სასოფლო—სამეურნეო გადასახადი. ამ გადასახადს სოფლის მეურნე იხდის წელიწადში ერთხელ შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ, და ის ამით მთელი წლის განმავლობაში თავისუფლდება ყოველგვარი სხვა გადასახადებისაგან.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადს აქვს კლასიური ხასიათი. მისგან თავისუფლდებიან უღარიბესი გლეხები, და დანარჩენები იხდიან მას თავისი წლიური შემოსავლის და ქონების მიხედვით. სამაზრო სამეული უკვე შეუდგა მზადებას ამ გადასახადის ჩასატარებლად, რისთვისაც მან დაგზავნა თემებში სიების შესადგენათ ინსტრუქტორები. რომ სამართლიანად მოხდეს გადასახადის გაწერა, თემთა აღმასკომების, პარტოგანიზაციების და ყველა პატიოსან მოქალაქეთა მოვალეობას შეადგენს უტყუარი ცნობების მიწოდება ჩვენი ინსტრუკტორებისათვის, რომ სიები სწორეთ შესდგეს და მერე არავითარ გაუგებრობას და უკმაყოფილებას ადგილი არ ექნეს.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში შესასრულებლად ამიერ-კავკასიის მთავრობის დეკრეტისა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოქვეყნებულია სამაზრო აღმასკომის ცირკულიარული განკარგულება ყველა თემთა აღმასკომებისადმი.

ამ ცირკულიარის ძალით თემთა აღმასკომებს ევალება—მიმდინარე წლის 1 ივლისამდი ლიკვიდაცია უყონ ყველა არსებულ გადასახადებს და ამიერიდან გააუქმონ ასეთები. რასაკვირველია, თემთა აღმასკომები, გარდა იმისა, რომ შეასრულებენ ამ ცირკულიარს მისი პირდაპირი მნიშვნელობით, მოხსნიან იმ ხარჯებსაც, რომლის დასაფარავად გადასახადების გაწერა ადგილობრივ მცხოვრებლებზე ეკრძალებათ მათ ამ ცირკულიარით.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ერთი ნაბიჯთაგანია წინ ჩვენი მთავრობისა გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ჩვენი გლეხობა შეგნებულათ შეხვდება მისი მთავრობის ასეთ ნაბიჯს.

ს. მ—ლია.

ტანჯვის პოეტი.

(ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას)

ჩვენს ქვეყანაში იშვიათად მოიპოვება ისეთი ოჯახი, ისეთი ქოხი, სადაც ეს დიდებული სახელი — **ნინოშვილი** — არ შეჭრილიყოს.

იშვიათადაა აგრეთვე ჩვენში ისეთი სკოლა, სადაც მოწაფეებს ეგნატე **ნინოშვილი** არ გაეცნოთ, ეგნატე ნინოშვილის თხზულება არ წაეკითხოთ.

ვინ არის ისეთი მუშა, ისეთი გლეხი, ისეთი მოწაფე, რომლის გული სიტყვა „ე. ნინოშვილი"-ს გაგონებისთანავე, ან მის რომელიმე თხზულების წაკითხვისთანავე არ ატოკებულიყოს, არ ატირებულიყოს, ამასთანავე არ განწყობილებულიყოს საბრძოლველად ძველი დახავსებული ქვეყნის—ძველი მონობის ბორკილების დასანგრევად

ე. ნინოშვილი პროლეტარიატის და ღარიბ გლეხ-კაცობის მწერალია, ის დიდებული მხატვარია, სახალხო პოეტია.

ამასთან ე. ნინოშვილი დამაარსებელია რევოლუციონურ-მარქსისტულ ორგანიზაციისა და მოძრაობისა ჩვენს ქვეყანაში.

ე. ნინოშვილის ნამდვილი გვარია—**ინგოროყვა**. იგი იყო ღარიბესი გლეხის ოჯახის შვილი გურიიდან (სოფ ჩოჩხათიდან.) დაიბადა 1861 წ. ბავშობისას მას გამოეცალა ყველაფერი და ყოველივე და იგი გახდა პროლეტარი. მთელ თავის ცხოვრებას იგი ატარებს ქარხანაში მუშაობაში და აუტანელ გაჭირვებულ მდგომარეობაში. ტანჯვა, ავადმყოფობა, მუდამ სიღარიბე—აი რა იყო ამ დიდებულ და დაუვიწყარ ადამიანის ხან-ზოკლე ცხოვრების თანამგზავრი. ბათუმში—როტშილდის და სხვა ქარხნებში აუტანელმა მუშაობამ, ნამდვილ პროლეტარულმა ცხოვრებამ უდროოდ მოუწამლა ცხოვრება ჩვენს ეგნატეს და იგი სამუდამოდ გამოესალმა ცხოვრებას ჯერ კიდევ ახალგაზდა 1894 წელს.

ე. ნინოშვილი იყო უდიდესად ნიჭიერი ადამიანი. მის ცხოვრების პირობებმა გაფურჩქვნეს მასში ტალანტი, რომელიც დიდებულმა მხატვარმა მოახმარა მშრომელთა და ტანჯულთა კლასის მდგომარეობის დასურათ-ხატებას და მათ განსათავისუფლებლად ბრძოლას. ნინოშვილმა დაგვიტოვა საუკეთესო ნაწერები—„განკარგულება", „გოგია უიშვილი", „სომონა", „ქრისტინე", „ჩვენი ქვეყნის რაინდი", „მოსე მწერალი", „პალიასტომის ტბა" და სხვა, რომლებიც დაწერილია მუშათა კლასის სისხლში ამოვლებული კალმით.

ყველა ამ თხზულებებში აწერილია გლეხების აუტანელი მდგომარეობა და მათი ბრძოლა იმათთან, ვისგანაც ისინი ასეთ ტანჯვა-წვალებას განიცდიდენ. საქართველოში არ მოიპოვება მუშათა კლასის არც ერთი ისეთი მწერალი, რომელსაც ასე მხატრულად და გენიოსური ნიჭით დაეწეროს რამე.

ე. ნინოშვილის მოღვაწეობის ხანა იყო წარსული საუკუნის 80-და 90—წლები.

ვინ იცის, როგორ დიდებულ ადამიანს მიიღებდა ჩვენი ქვეყანა ეგნატესაგან, რომ ცხოვრების უკუ ღმართ პირობებს არ ჩაეკლა მასში სიცოცხლე.

ა. წ. 10 ივნისს ქ. თბილისში, ალექსანდროვის ბაღში ე. ნინოშვილს აუგეს დიდებული ძეგლი.

მაგრამ არის კიდევ უფრო დიდი და უფრო ძლიერი ძეგლი: ესაა თვით მშრომელი მასის გული, საიდანაც არას დროს არ ამოიშლება მათი პოეტის—ე. ნინოშვილის ხსოვნა.

ვ. ნადარეიშვილი.

ხალხის მოციქული

(ე. ნინოშვილის ხსოვნას),

ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსული, რომელსაც დაბადებიდანვე საყვარელ დედის ძუძუსთან და მამის სიმწრის ოფლთან ერთად შეზრდილ-შესისხლხორცებული ჰქონდა უზომოთ დაჩაგრული ხალხის ჭირ-ვარამი, განაწამები ცხოვრება, სულისკვეთება, ნატვრა და მისწრაფება,—ე. ნინოშვილი ნამდვილი ხალხის შვილი იყო, ხალხის მეგობარი, მისი მოჭირნახულე და მოამაგე. ეგნატეს განუსაზღვრელათ უყვარდა ხალხი, რომლის თავგანწირულ და უანგარო სამსახურში დალია ტანჯული სიცოცხლე, დაიწვა, როგორც სანთელი. არა მგონია, საქართველოში ოდესმე ყოფილიყოს ან დღეს იყოს მეორე მწერალი, რომელსაც ისე კარგათ ჰქონოდეს შეთვისებული ხალხის გულისნადები და მაჯისცემა, ისე გამსჭვალული ყოფილიყოს მისდამი უსაზღვრო სიყვარულით, როგორც ნინოშვილი. და ეს, ალბათ, იმიტომაც, რომ კლასიურათ იგი ამ ხალხის ღვიძლი შვილია, ხალხთან აღიზარდა, მასთან ერთად იტანჯებოდა ჯოჯოხეთურ სიღარიბესა და გარშემორტყმულ სულის შემხუთველ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში.

ნინოშვილის სწორუპოვარი ბელეტრისტული ტალანტი გასაოცარი სიცხადით და მომხიბლველობით ააშკარავებს და აშუქებს მაშინდელი ცხოვრების სულის შემზარავ და აღმაშფოთებელ სურათებს.

ნინოშვილი უაღრესად სოციალური მწერალია, თუ შეიძლება ასე ითქვას და, მაშასადამე—ამ აზრით „ტენდეციურიც", რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა საგანი და მიზანი თავის ნაწარმოების და რომელსაც უსაქმო ჩმახვათ მიაჩნდა „ხელოვნება ხელოვნებისათვის". მისი მკეთრი და მად-

რუსეთი და ინგლისი

რუსეთის პასუხი დამაკმაყოფილებელია.

ლონდონი. 12 ივნისი. საბჭოთა მთავრობის ნოტამ, რომელიც მოკლეთ იყო მოთავსებული დილის გაზეთებში, მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლიბერალურ და მუშათა წრეებში. მუშათა პარტიის წრეებში ამბობენ, რომ მთავრობის ავტორიტეტული სფეროებიდ ნ მიღებული ცნობებით კავშირის გაწყვეტის საფრთხე უკვე აღარ არსებობს.

საღამოს გაზეთები ესალმებიან ნოტას.

ის ერთსულოვნება, რომლითაც კონსერვატორული საღამოს გაზეთები მისაღებათ თვლიან ნოტას, საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფართე მასების რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ დიდი დემონსტრაციების შემდეგ რუსეთის მხრივ უფრო ნაკლები დათმობაც მისაღები იქნებოდა ინგლისის მთავრობისათვის.

პრესის ბიურომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომ ინგლისის პასუხი რუსეთის უკანასკნელ ნოტაზე ბოლოს მოუღებს რუსეთსა და ინგლისს შორის სადავო საკითხებსო. ავტორიტეტული წრეების აზრით მოლაპარაკება მეტად დამაკმაყოფილებლად დამთავრდა.

რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო ხელშეკრულება ბრ იქნება გაუქმებული.

ბერლინი 14 ივნისი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტა მანუგეშებელ ბაზისს იძლევა, რომ გადავლახოთ ყველა არსებული უთანხმოებანი. სამინისტროს ამით სურს გვაცნობოს, რომ რუსეთ—ბრიტანეთის სავაჭრო ხელშეკრულება არ იქნება გაუქმებული.

ინგლისის პასუხი კვირის ბოლომდი.

ბერლინი 14 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბრიტანეთის მთავრობა უპასუხებს საბჭოთა ნოტაზე კვირის ბოლომდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! ფეიქრინეთ მშრომელთა ინტერესების დამცველი გაზეთი — „კომუნა“

რედაქცია,

ლიანი კალმის საგანია: სოციალურ და კლასიურ დიფერენციაციის ნიადაგზე წარმოშობილი წინააღმდეგობების, შეხლა-შემოხლის და ბრძოლის აღწერა, დასურათ-ხატება. მისი „ტენდეცია“, შეგნებული მიზანია— მშრომელი ხალხის (კაცობრიობის) ბედნიერება.

სოფლის ბობოლა, ჩარჩი, ვაჭარი, მევახშე. წვრილი და მსხვილი მოხელე, სოფლის მწერალი, მამასახლისი, ნაცვალი, გაკოტრების გზაზე შემდგარი და თავმომწონე თავად-აზნაურობა და სხ. რომლებიც მძიმე უღლათ დასწოლიან ხალხს კისერზე და წურბელივით სისხლს სწოვენ. ეს ერთი მხრით. მეორე კატეგორიის „გმირები“ წარმოადგენენ არსებულ წყობილების მსხვერპლს, ზოგი პასიურს, ზოგი აქტიურს, რომლებიც სრულიათ გარიყულნი და განმარტოებულნი ცხოვრებიდან (ზოგიერთი), მინც განაგრძნობენ მართლაც გმირულ. მარა უსწორო, ბრძოლას იმ უზარმაზარ, ძლიერ, საშინელ და საზიზღარ მექანიზმის წინააღმდეგ, შეფის თვითმპყრობელობა რომ ერქვა.

პირველნი, როგორც მაგალითად: „მოსე მწერალი“, „ტარიელ მკლავაძე“, „დროიძე“, „იასონ“ და სხ.— მკითხველის გულში იწვევენ პროტესტს, აღშფოთებას და უსაზღვრო ზიზღს. მეორენი კი, როგორც მაგ. „ქრისტინე“, „სპირიდონ“, „უიშვილი“, „მუნჯაძე“, „სიმონა“ და სხ. —აღძრავენ თანაგრძნობას, სიბრალულს, გაკვირვებას, გატაცებას, სიყვარულს და ბრძოლის წყურვილს.

აქ უნდა ითქვას, რომ ნინოშვილის დადებითი გმირები სოციალური უკუღმართობის, უსამართლობის და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ იბრძვის არა კლასიურ—სოლიდარულათ, არა კოლექტიურათ და დარაზმულათ, არამედ განცალკევებულათ, ერთეულათ, ინდივინდუალურათ. მარა ეს იყო მაშინდელი ჩვენი ცხოვრების პირველი საფეხური, მოსამზადებელი შკოლა, შემდეგ ბრძოლის უმაღლეს ფორმაზე გადასასვლელათ 1905 წ. რევოლიუციის დროს, როცა გურული გლეხობა პირველი გამოვიდა დარაზმულათ, მასსიურათ თვითმყრობელობის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ, და მასთან ერთად აჯანყების ცეცხლი მოედვა მთელ გლეხურ საქართველოს.

ე. წ. „მესამე დასი“, ეს პირველი ჩანასახი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციისა ჩვენში, ნინოშვილის პირმშო შვილია, თუ ორგანიზაციულათ ისე არა, იდეიურათ და იდეოლოგიურათ მაინც. მხოლოდ ეგნატეს უმაღლესი საკაცობრიო იდეალებით გასხივოსნებულ და მოციქულებრივ პიროვნების ზეგავლენით შეეძლო თავი მოეყარა რევოლიუციის და სოციალიზმის წითელ დროშის ქვეშ ქართველი ხალხის და ინტელიგენციის რჩეულ და საუკეთესო ნაწილს, იმ შავბნელ და უკუნ რეაქციის დროს, როცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება ან ფარული მუშაობა უდიდეს „რისკს“ წარმოადგენდა.

ნინოშვილი „დაბადებული“ იყო ხალხის წინამძღოლათ და მოციქულათ, რომლის საბოლოო განთავისუფლებისათვისა და ბედნიერებისათვის თავგანწირული ბრძოლა შეადგენდა მთელი მისი მდიდარი ბუნების კონტესიციას. **პირადი ცხოვრება და ბედნიერება—არაფერი, საზოგადო საქმე—ყველაფერი**, აი დევიზი, რომელიც აბსოლიუტურათ განახორციელა ეგნატემ თავის ხანმოკლე, მაგრამ საოცრათ ნაყოფიერ და შინაარსიან ცხოვრებაში. **სიტყვა საქმისათვის, საქმე სიტყვით გაცისკროვნებული**, ეს ორი რამ ერთ განუყრელ და შეზავებულ-შეხამებულ მთელს უნდა წარმოადგენდეს;—აი რა იყო უკდავათ აღბეჭდილი ეგნატეს კეთილშობილურ შუბლზე და დაწერილი მის ციური ცეცხლით ანთებულ გულის ფიცარზე. თითეული მისი სიტყვა, თითეული მისი ნაწარმოები, თითეული მისი ნაბიჯი, მისი ფიქრი, აზრი, გრძნობა და ფოლადისებური ნებისყოფა მიმართული იყო მისი ჯხოვრების დიდა-აზრის და მისწრაფების განხორციელებისაკენ.

ზემოთ ითქვა, რომ ეგნატეს განუსაზღვრელად უყვარდა ხალხი, მარა ხალხსაც ძლიერ უყვარდა თავისი მეგობარი, რამდენადაც იცნობდა მას პირადათ ან მისი ნაწერებით. ნინოშვილი ხიბლავდა, იზიდავდა, იმორჩილებდა და იტაცებდა ყველას, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ბედნიერება ენახა ის და გაეგონა მისი სიტყვა—იდეა. ნინოშვილს მაშინდელ დუხჭირმა ცხოვრებამ აღარ დააცალა მდიდარი და მრავალფეროვანი ნიჭის სავსებით გაფურჩქვნა, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოთ. განხორციელებული რევოლიუციონერი, უსპეტაკესი და უფაქიზესი პიროვნება, ტვირთმძიმეთა და ჩაგრულთა უერთგულესი მეგობარი და იმედი, შექმნილი ხალხის წინამძღოლათ, ბელადათ და მოციქულათ, „ზეგარდმო მადლით ცხებული“ ბელეტრისტი—რეალისტი და დიდი პუბლიცისტი პოტენციაში,— აი ვინ დავკარგეთ ჩვენ სამი ათეული წლის წინეთ, მუშათა და რევოლიუციონური მოძრაობის გარიჟრაჟზე საქართველოში.

ვინ იცის, რაოდენად შეიცვლებოდა ბოლშევიკურ-კომუნისტური მოძრაობის სახე და ტემპი ჩვენში, რომ ნინოშვილის ცხოვრება უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო! ვფიქრობ, ერესათ არ ჩამომართმევენ, თუ ვიტყვი, რომ ნინოშვილი თავის მძლავრი ტალანტით, ტემპერამენტით და პიროვნებით ან სრულიათ დაიმორჩილებდა იდეიურათ ჩიენებური მენშევიზმის ერთად ერთ ბელადს, ნ. ჟორდანიას ანდა, თუ ეს არ მოხდებოდა, უეჭველათ გადაისვრიდა მას ქართველ ნაციონალ დემოკრატების ბანაკში, საითკენაც „დაბადებიდანვე“ მიილტვოდა მისი ოპორტიუნისტული და მერყევი ბუნება. ეგნატეს არ შეეძლო არ გამხდარიყო ბოლშევიზმის ბუმბერაზ ბელადათ საქართველოში.

ქართველი მუშა სოფლათ და ქალაქათ ვალდებულია დღეს მაინც გაეცნოს ე. ნინოშვილის ცხოვრებას და სისწორით, ღირსეულათ დაფასოს მისი როლი კომუნიზმისათვის ბრძოლაში. საქართველოს მშრომელი ხალხისთვის თავდადებულთა პანთეონში პირველი ადგილი უჭირავს ე. ნინოშვილს. დღეს მადლიერი და თავისუფალი ქართველი ხალხი ძეგლის აგებით უკვდავს ყოფს ეგნატეს შარავანდედით ბრწყინვალე სახესაც. ჩვენთვის ეგნატეს სახე იქნება მნათობელი ვარსკვლავი, რომელიც მუდამ მოგვაგონებს იმ ხალას ჭეშმარიტებას, რომ ხალხის ნამდვილი სამსახური შეუძლია მხოლოთ ხალხის შვილს, რომელიც დაიბადა და აღიზარდა ხალხში და მუდამ მასთან იყო მისი ბედის უკუღმა ტრიალის დროს. ეგნატეს ძეგლი მომასწავებელია იმის, რომ ქართველი ხალხი ოქტომბრის რევოლიუციით დაადგა ისეთ გზას, რომელიც, რაც უნდა გიგანტიური დაბრკოლებანი შეხვდეს წინ, უეჭველათ მიიყვანს მას კომუნიზმის გამარჯვებამდე მთელ მსოფლიოში.

თ. კალანდაძე.

(„კომუნისტი“ № 131).

მის აჩრდილს

(ეგნატეს ბრწყინვალე ხსოვნას)

ჩვენს უდაბნოებს ჯოჯოხეთით რომ გზა ენახა
და შეენახა ჩვენთვის ტანჯვის მწარე წუთები,
გზები ბარდებით ვერ ვიგუეთ და დაგვეძრახა
და დაგვესახა რაღაც შორე და ნაფიქრები.
ის ჩვენს მიდამოს მოევლინა ნატვრულ ავრორათ,
მეტეორივით გაგვიშუქა სიბნელე ღამის,
სიამის მფენ სულს ეთვისება ორიონივით,
და ვლოცულობდით სიყვარულით დილის ცვარ-ნამის.
მის გადაძახილს მოვისმენდით ჩვენ ათასობით,
რომ გულს ნასობი ისარივით ბნელეთს აქრთობდა
და ჩვენ გვართობდა მის ძახილზე მტრის ალმასობა
და გაბასვრობა მტრისგან მისი თავს არ გვათოვდა.
შენ აჩრდილი ხარ ჩვენი გულის მესაიდუმლე,
რომლის თვალთხილვას მუდამ ნატვრობს მშრომელთა კერა,
რომ ბედისწერა მის საფლავში დღეს სხვას იუღლებს
და შრომის უბნებს მიაწოდებს შხამ მოგონებას.
ო, შენ აჩრდილო, გაიცინე, რისთვის ნეტავი?
ბედშავისათვის სთქვა ეგებ რამ შენ გასახარი,
გვითხარი დღეს ის ხომ ნეტარობს ჩვენი ამბავით,
ქარიშხალთ ლოდინს გადეჩვია ჩვენი მთა-ბარი.
ჩვენი ეგნატე! ო, მის სახელს გულით ვატარებთ,
მას ჩავაბარეთ წინამძღვრობა ხელში ალამით,
ღამით გრძელი გზა ბარდ-ეკლებით გადავატარეთ
და მწარე კვნესით არ იმჩნია მან ჰმუნვის წამი.
და დღეს ეს ძეგლი მას აუგეთ ჩვენი ხელებით.
და ჩვენი ძვლები ვაქვიტკირეთ და ვღებეთ სისხლით
დღეს აქ ვშლით დროშებს სიყვარულით და გამარჯვებით
მკვდრეთით აღვსდგებით—მტრებს გაუპეთ გული ბასრი ხმლით.
და შენ, აჩრდილო, გადაეცი მას ეს ამბავი:
დღეს შავი ღამე, მისი გულის ოდესღაც მღრღნელი
ბნელი წყვდიადი გამქრალია და მის საფლავით
მსოფლიო შვავის მოლოდინში ვართ და მას ველით.

სანდრო ეული.

როგორ უნდა ჩავაბათ სოფლის გლეხები პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში.

(წერილი ქოხ-სამკითხველოების გამგეებთან-)

ცხადია ყველასათვის, რომ ჩვენი გლეხების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ მოწყვეტილია ჟურნალ-გაზეთების, თეატრის და საერთოდ განათლების საქმეს. არის მაგალითი იმის, რომ ჩვენი ზოგიერთი გლეხი სათოფეთაც არ ეკარება ახლოს იმ ადგილას, სადაც გაზეთს კითხულობენ, ან წარმოდგენაა, ლექციაა და სხვა ამგვარი. მიზეზი ყოელივე ამისა, რასაკვირელია, უნდა ვეძიოთ წარსულში. ვინ იცის, რა ჩაუნერგეს მას გულში წარსულში! ვინ იცის როგორი საზრდო მიაწოდეს მის გონებას პირველად, მაშინ, როდესაც იგი დიდის წყურვილით მიდიოდა რაიმე ახალი ცოდნის მისაღებად, რაიმე ახალის შესაძენად! ასეთ შემთხვევებში, რასაკვირველია, ბევრს ჩაენერგებოდა გულგრილობა, გულცივობა და სამუდამოთ იბრუნებდა პირს განათლების საქმიდან. არის დღეს შემთხვევები იმის, რომ გლეხები სამეკიტნოებში და სხვა ასეთ დაწესებულებებში უფრო იყრიან თავს, ვიდრე სამკითხველოებში. განსაკუთრებით ახალგაზდობა ნარდის და კარტის სათამაშოდ მთელ საათებს დააღამებს, ხოლო კულტურულ დაწესებულებებში კი მათ თოკითაც ვერ შეათრევ.

ასეთი გარემოებები მავნებელია ადამიანისთვის ყოველმხრივ: ადამიანი ამით იხრწნება ზნეობრივად და გონებრივადაც.

ყოველივე ამას უნდა ვებრძოლოთ; ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ დაკვირვებით, ფრთხილად და ისეთ იარაღით, რომლითაც ყველაზე უფრო ადვილია გამარჯვების მოპოება.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გაზეთების კითხვის გახშირებაზე გლეხებს შორის, ხშირად ასეთი სიტყვით მოგვმართავენ: „ჩვენი სოფლის გლეხს არა აქვს დრო გაზეთები წაიკითხოს, ან ვინმეს მოუსმინოს მისი კითხვაო“. ეს მეტად შემცდარი აზრია, ყალბი შეხედულებაა და იგი უნდა მოვიშოროთ თავიდან. რასაკვირველია, გლეხი ვერ მოიცლის შუადღისას მიატოვოს თოხნა და ბიბლიოთეკაში იაროს. მაგრამ, ძალიან ხშირად საღამოობით ათი-თუთხმეტი გლეხი თავს იყრის სოფლის კოოპერატივში, ან ახლო რომელიმე დუქანში, ვინმეს ოჯახში, ყანიდან მომავალ შუკა გზაზე, შარა-გზაზე, მეველეს ბინაზე, რომელიმე ხიდზე და სხვა ამგვარ ადგილებში. სრულიად თამამად, სრულიად იოლად შეიძლება ასეთ ადგილებში გაზეთების კითხვა თითო ოროლა საათით. ასეთ ადგილებში უნდა დაიგზავნონ მოწაფეები, მასწავლებლები და ყველა, ვინც უნდა იყოს, კითხვის კარგად მცოდნე გაზეთებით ხელში. პირველად ეს გარემოება, რასაკვირველია, ბევრს ეჩოთირება; ბევრს კიდეც გაეცინება. მაგრამ ცსადეთ და ორი-სამი მაგალითის შემდეგ ნახავთ, რომ გლეხები აქეთ დაგიწყებენ ხვეწნას: ყოველთვის იარეო; თანაც დაგინიშნავენ დროს, და უკეთეს ადგილსაც აარჩევენ; ამრიგად შეიძლება ყოველ კუთხეში პატარა სამკითხველოს დაარსება. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გლეხები იქ ააგებენ ავდრისთვის კარავს, პატარა ქოხს, და გამოვა ჩვენი ქოხ-სამკითხველო. თუ თემის რომელიმე სოფელმა ან კუთხემ ასეთი ნაბიჯი გადადგა, მას დანარჩენი სოფლები და კუთხეებიც მიბაძავენ; ერთ თემს მეორე თემი მიბაძავს. ამ რიგად განხორციელდება ლოზუნგი: ყოველ ათ სოფლის გლეხზე უნდა მოდიოდეს თითო ცალი გაზეთი.

ეს ერთი გზა. არის კ-დევ მეორე გზა: მაზრის თითქმის ყოველ სოფელში, ყოველ კუთხეში კომუნისტური პარტიის ჩანასახის კრებებზე იკითხება გაზეთი; კრებას ესწრებიან ავრეთვე უპარტიო გლეხებიც. მაგრამ აქ დაბრკოლება იმაშია, რომ ჩანასახის კრება ხდება კვირაში ერთხელ. მაშასადამე, აქ შეუძლებელია ერთ კრებაზე გადაკითხულ იქნას ყოველდღიური გაზეთები— „კომუნისტი“, „მუშა“ და სხვა.

ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი უნდა ვსცადოთ, ყოველიეე ზომები უნდა ვიხმაროთ და ცხოვრება დაგვანახებს შედეგებს.

ვ. ნ—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ახ.-სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის პირველი გამოშვება.

დღეს მოხდება ახალ-სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის კურს დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

სიტყვა „პედაგოგიური ტექნიკუმი“ ჩვენი მაზრის გლეხებისათვის ჯერ ახალია. ეს არის საშვალო სკოლა, ისეთივე ტიპის, როგორიც იყო უწინ **საოსტატო**, ან სამოსწავლო **სემინარია.**

პედაგოგიური ტექნიკუმი სპეციალური სასწავლებელია: ის ზრდის მასწავლებელ-აღმზრდელებს.

ასეთი ტიპის სკოლა სენაკის მაზრაში არის მხოლოდ ერთი. ცხადია ყველასათვის, რომ ეს სკოლა დაუფასებელია ჩვენი ხელისუფლებისათვის და ჩვენი საბჭოთა სკოლებისათვის: ეს სკოლა გვაწვდის ჩვენ ახალ მასწავლებლებს, ახალი იდეით აღზრდილებს. ესენი ახალ სხივს შეაშუქებენ სკოლებში და მუშების და გლეხების შვილებს აღზრდიან ისე, როგორც ეს საჭიროა. ამიტომაცაა, რომ ჩვენი პედაგოგიური ტექნიკუმი წარმოადგენს ჩვენს სიამაყეს და იმედს და მთელი ჩვენი ყურადღება მისკენაა მიქცეული.

საოსტატო სემინარია უწინ მთელს საქართველოში იყო მხოლოდ ორი (გორში და ხონში).

როდესაც ძველ სკოლაზე გვაქვს ლაპარაკი, ჩვენ თვალწინ გვიდგება მთელი ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც ამ სკოლას ახასიათებდენ. მაგრამ საოსტატო სემინარია ყოველთვის წარმოადგენდა გამონაკლისს; სემინარიამ დიდი როლი ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში; სემინარიაზე ჩვენ სულ სხვა შეხედულებისა ვართ (ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი).

პედაგოგიური ტექნიკუმის კურსი დაამთავრა 24 მოწაფემ. ესენი დაიფანტებიან სენაკის მაზრის (ნაწილობრივ ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში) სხვა და სხვა სკოლებში და ჩვენს მთლიან შრომის სკოლებს, რომლებიც გარდაქმნის ხანაში იმყოფებიან, დააყენებენ სასურველ დონეზე.

პირველ გამოშვებას, როგორც ეს საერთოდაა, უსათუოდ ექნება დეფექტები, მაგრამ ამასაც თავისი გასამართლებელი საბუთები აქვს. ჩვენი პედაგოგიური ტექნიკუმი ორგანიზაციის პროცესშია. ერთი წლის შემდეგ ის სულ სხვა იქნება. ამის ნიშნები უკვე არის.

გაუმარჯოს სენაკის პედ. ტექნ პირველ გამოშვებას!

გაუმარჯოს ახალ პედაგოგებს!

გაუმარჯოს ახალ მასწავლებელს ახალ სკოლაში!

გაუმარჯოს პედ. ტექნიკუმის ხელმძღვანელებს!

გაუმარჯოს იდეოლოგიურ ფრონტზე მებრძოლთ!

ახალი მასწავლებელი.

P. S. სია

პედ. ტექნიკ. კურს დამთავრებულთა.

1. ადამია ტატიანა
2. ადამია ქეთევანი
3. ახვლედიანი მარიამ
4. ბაკურაძე ლიდია
5. ბირქაია ანასტასია
6. გოგოლი სევერინე
7. გრიგოლია პელო
8. ინჯგია გიორგი
9. კვიტატიანი ბიკტორი
10. ლომია თამარი
11. ზღინარაძე ლაზარე
12. ნინუა ქსენია
13. ჟვანია ნინო (ნადია)
14. ფილიპია პარასკევა
15. ქორიძე სილოვან
16. შელია ოლღა
17. ჟვანია ტატიანა
18. ცომაია ქსენია
19. ძიუბენკო ეკატერინე
20. ჭუბაბრია ვარლამი
21. მახარაძე აკაკი
22. ფირცხალავა თამარი
23. ჯანაშია მიხეილი
24. ქაჯაია პარასკევა

პედაგოგიურ ტექნიკუმს და მის პირველ ყვავილს.

დღეს ქ. ახალ-სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი დღესასწაულობს კურსდამთავრებულთა პირველ გამოშვებას. ეს არის პირველი ნაბიჯი იმ დიადი მიზნის მიღწევისაკენ მიმართული, რომელიც წილად ხვდა პედაგოგიურ ტექნიკუმს - დარომლის შესრულება აუცილებელია მომავალი თაობის ღირსეულ და სრულქმნილ მოქალაქეებად მომზადებისათვის. ტექნიკუმი დღეს გვაძლევს ახალ სკოლებისათვის მომზადებულ მასწავლებელთა პირველ წყებას და დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ გამოტყორცნილი განათლების სხივი მოეფინება არე-მარეს და აღმოფხვრის კუნჭულებში მიმალულ ბნელეთის ნაშთებს, ზეიმობს, დღესასწაულობს.

დღევანდელი დღე ადსანიშნავია არა მარტო პედაგოგიურ ტექნიკუმის კურს—დამთავრებულთათვის, არამედ მთელი მაზრისთვის: დღეს, 17 ივნისს, ახალ-სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი იძლევა ახალ მამოძრავებელ ძალას, გაცნობილს ახალ-სკოლას, ენერგიით სავსე 24 ახალ მასწავლებლის სახით, რაც ხელს შეუწყობს სკოლის გაჯანსაღებას და აღორძინებას.

განათლების განყოფილება მიესალმება ტექნიკუმის პირველ ყვავილს—ნორჩ მასწავლებლობას. განყოფილება დარწმუნებულია იმაში, რომ დღეს მასწავლებელთა რიგები დამშვენებულია ნორჩი, ენერგიით და იმედებით სავსე, საკმაოდ მომზადებული, მტკიცე ნების ყოფით დაჯილდოებული მასწავლებლობით.

განყოფილება უსურვებს ახალ მასწავლებლობას მეტს სიმტკიცეს, სიმხნევეს, სწორი გზით სიარულს და დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

განათლების განყოფილება.

წითელ დროშას!

დროშავ წითელო! შეღებილო მუშის სისხლითა,
რაღას უყურებ? აფრიალდი მთელს მსოფლიოზე;
განდევნე ბილწი ბოროტება მუშის ხელითა
და დაამყარე სათნოება მთელს ქვეყანაზე!

ეყო მათ ყველფა დატანჯული შრომის შვილების..
ჩამოანგრიე დიდი კერპი მუქთა ხორების,
მოსპე სახელი, მათი კვალი გაანადგურე,
რომ სახსენებლად აღარ დარჩეს ფრენა ქორების.

დროშავ წითელო! შეღებილო მუშის სისხლითა,
ნუ შეჩერდები, სძებნე, სძებნე შენი სავალი;
მედგრად და სწრაფად მიახწიე აღთქმულ ქვეყანას
და ქვესკნელისკენ ჩააქანე ქვეყნის მტარვალი!

მარო ნადარეიშვილი.

ვინ აღუსებს ხალხს?

(ჩვენი კორესპოდენტის წერილი კიწიიდან).

მიუხედავათ მენშევიკური პარტიის ალაგმვისა, ჩვენს სოფლებში კიდევ არიან დარჩენილნი წვრილფეხა ელემენტები, რომლებმაც თითქოს მენშევიკებისაგან მიიღეს მემკვიდრეობად ავრცელონ ხალხში სხვა და სხვა გვარად მოჩმახული ჭორები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ყოველგვარ ნოვლენებს ისინი ათასნაირად გადააკეთებენ და ამით გაუგებრობაში შეყავთ მშრომელი ხალხი.

ბევრი მაგალითის მოყვანას მე აქ არ შეუდგები;—ვიტყვი მხოლოდ რამდენიმეზე.

ალბად ყველას ახსოვს, რომ სენაკის მაზრის მუშათა და გლეხთა საბჭოების მე-2-ე ყრილობამ გასული წლის მიწურულში გამოუშვა მოწოდება მაზრის მშრომელი ხალხის მიმართ მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრო-სადგურის ასაშენებლად შემოწირულების მოგროვების შესახებ. მოწოდებაში განმარტებული იყო ელექტროფიკაციის მნიშვნელობა ჩვენი გლეხობისათვის; შემდეგ იყო ნათქვამი, რომ ამ დიად საქმის გაკეთებას სჭიროდა 300,000 მან. ოქროთი, რისთვისაც ყრილობა მოუწოდებდა ყველას არ დაეშურათ თავიანთი წვლილი ამ საქმისათვის. ვისაც როგორ შეეძლო დახმარებოდენ სიმინდით, ოქროთი, ვერცხლით და სხვა ასეთებით ყოველგვარ ძალდატანების გარეშე.

ამას დიდის აღფრთოვანებით გამოეხმაურენ ჩვენი მაზრის გლეხთა სათემო კრებები.

მაგრამ, დახეთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს: მათ სულ სხვანაირად გადააბურდავეს ეს ამბავი: გაავრცელეს ხალხში ხმები, თითქოს საბჭოთა მთავრობა ძალად ართმევს ხალხს ოქროს და სხვა ამგვარ ავეჯეულობას;

შემთხვევით დავესწარი კიწიის თემის სოფ. გურძემის სასოფლო კრებას, რომელსაც ამგვარ საკითხების შესახებ ქონდა მსჯელობა. მე ავუხსენი ხალხს, თუ რა მნიშვნელობისაა ხსენებული მოწოდება, რას აკეთებს საერთოდ საბჭოთა მთავრობა, რა გაკეთა მან (მოუყვანე ფაქტები) და სხვა. შემდეგ გადუშალე მენშევიკური მთავრობიხ სამი წლის მოღალატური საქციელი მშრომელი ხალხის მიმართ. (მოუყვანე, სხვათა შორის, მაგალითად მენშევ. მიერ ოქროს გაზიდვა ევროპაში). ავუხსენი, აგრეთვე, თუ ვინ ავრცელებს ასეთ ხმებს და რა მოსაზრებით.

გლეხები დარწმუნდენ, თუ ვინ ყოფილა მათი მტერი და ვინ ცდილობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. წყევლა კრულვით გაიმასპინძლეს ასეთი ჭორების მომჩმახავები და დასდვეს სიტყვა სათანადო ზომები მიეღოთ მათ წინააღმდეგ.

მეორე მაგალითი.

სენაკის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილებამ მოიწვია მოწაფეთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ დელეგატებად ყოველ სკოლიდან თითო-ორი მოწაფე. ამის გარშემო ასეთი ხმები გავრცელეს: საბჭოთა მთავრობა ვითომ სოფლებში არ სტოვებს გლეხების შვილებს; უყრის მათ თავს ქალაქებში და ამით უნდა ჩამოაშოროს ბავშები დედ-მამას.

დავესწარი სოფ ნოღაში (კიწიის თემი) ჩანასახის კრებას, რომელსაც გარდა ჩანასახის წევრებისა დაესწრენ აგრეთვე ახლო-მახლო მცხოვრები გლეხები. ერთი გლეხი შემეკითხა ზემოდ დასახელებულ გარემოების შესახებ, თუ რამდენად შეეფერებოდა იგი სინამდვილეს. საპასუხოდ მე უთხარი, რაც საჭირო იყო. ჩემს შემდეგ ჩანასახის წევრებმაც აიღეს ამის გარშემო სიტყვა და ილაპარაკეს.

აი ასეთ ჭორებს თხზავენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები. იქ, სადაც ხალხში ცოტათ, თუ ბევრად განათლების სხივმა შეანათა, ამას გასავალი არა აქვს; ხალხი თვითონ მიდევს და ასამართლებს მათ, მაგრამ სიბნელე და გაუნათლებლობა უწყობს ასეთებს ხელს.

ამიტომაცაა საჭირო გაზეთების გამოწერა ყოველ კუთხისათვის. გაზეთი დაუფასებელია ჩვენი სოფლის გლეხებისათვის.

ბ. ცავა.

სოფ. კიწია.

მიბაძეთ!

* * *

ბანძის რაიონის კოოპერატივმა გამოიწერა 13 ცალი გაზ. „კომუნა“. მათგან იგი 4 უგზავნის ლეხაინდრაოს თემს, 4 ჯოლო-აბედათის თემს, 4 ბანძის თემს, ხოლო ერთით კი თვითონ სარგებლობს.

სასურველია დანარჩენ კოოპერატივებმაც მიბაძონ ამგვარ მაგალითს და ამით მოიხადონ თავიანთი მოვალეობა მუშების და გლეხების მიმართ კულტურულ ფრონტზე.

* * *

კიწიის თემის პარტიულ კომიტეტში შედის რამოდენიმე კომუჯრედი (ჩანასახი). ეს ჩანასახები დაფანტული არიან თემში შემავალ სოფლებში. თითოეულ ჩანასახს გამოწერილი აქვს გაზეთი, რომელსაც კითხულობენ ჩანასახის კრებაზე. კრებებს ესწრებიან უპარტიო გლეხებიც, რომლებიც სარგებლობენ გაზეთებით.

კიწიის თემის კომუნისტები ამ რიგად დაუახლოვდენ გლეხებს და მათთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ებრძვიან სიბნელეს, გაუნათლებლობას და მიდიან წინ—განათლებისაკენ.

* * *

დაბა აბაშის ფ.-ტელეგრ. განყოფილებამ გამოიწერა 9 ცალი გაზ. „კომუნა“ თავის თანამშრომლებისათვის. ქ. ახალ-სენაკის ფ.-ტელეგრ. კანტორის თანამშრომლებმაც გამოიწერეს 18 ცალი გაზ. „კომუნა“. ამას გარდა ამ უკანასკნელებმა ჩაატარეს მაზრის მასშტაბით კომპანია ხსენებულ გაზეთის გამოსაწერად.

ჩვენი კორესპოდენტების საყურადღებოდ.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი გაზეთის მე-3-მე № ში ჩვენ გამოვაქვეყნეთ დარიგება, თუ როგორ და რაზე უნდა ეწერათ „კომუნა“-ს თანამშრომლებს. ბევრმა ეს წესები საუცხოოდ დაიცვა, მაგრამ ზოგიერთები კი ამას გვერდს უხვევენ. ჩვენი თხოვნაა—ეს წესები იქნას დაცული

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერილის ტექნიკურ მხარეს: კორესპოდენცია უნდა იწერებოდეს სუფთად, გარკვევით, ქაღალდის ცალ გვერდზე, სტრიქონები უნდა იყოს დაშორებული ერთი მეორისაგან. რედაქცია ვერ მიიღებს იმ წერილს, რომელშიაც ეს წესები არ იქნება დაცული.

ამხანაგური სალამით რედაქციის

მდივანი **ვ. ნადარეიშვილი.**

წერილი რედექციის მიმართ.

პატივცემულო ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

წერილი სოფ. ბანძიდან, მოთავსებული თქვენი გაზეთის მე-7-დე ნომერში, ისე შორსაა სიმართლისგან, როგორც თვითონ ავტორი წერილისა აფთიაქის საქმის ცოდნისგან და მიუდგომლობისგან. მაგალითად: ამხ. ესიავა სწერს: ბანძის აფთიაქის საქმის არევ-დარევას ბოლო მოუღო პარტკომმა. არევ-დარევას მოუღო ბოლო სენაკის ჯანმრთელობის განყოფილებიდან დანიშნულმა რევიზიამ, რომელმაც დაადგინა—გაძეული იქნას აფთიაქიდან მთელი შტატი, რის შესახებაც ოქმი ჯანმრთელობის განყოფილებას ხელთ აქვს და როდესაც უნდა და სადაც უნდა ამხ. ესიავას წაუკითხავს. ამხ. ესიავას კი გავახსენებთ, რომ სწორედ მისი შუამდგომლობით იყო, რომ სრულიად ვერ გაიწმინდა შტატი, და ზოგი მათგანი დარჩა ბანამ,-სანამ

ჯანმრთელობის განყოფილებამ ხელმეორედ არ გაგზავნა საგანგებო კომისია საქმის განმეორებით გამოსაძიებლად, რომელმაც დაადასტურა პირველი რევიზიის ოქმი, რის შემდეგაც მართლაც გაიწმინდა აფთიაქი არა სასურველ ელემენტებისაგან და აფთიაქსაც დაეტყო გაუმჯობესება.

ამხ. ესიავას კი გულწრფელად ურჩევთ, როდესაც წერილს ათავსებს გაზეთში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს ემსახურება, ჩაუკვირდეს შინაარსს წერილ სას.

ჯანმრთელობის განყოფილების
გამგე ექიმი **სარქისიანცი**

ამხ. რედაქტორო!

გაზეთ „კომუნა“ № 7-ში მოთავსებულია ქოლობნის თემიდან **Д. М-зе-ს** წერილი, რომელშიც ის ბრალს მდებს იმაში, ვითომც მე განმეზრახოს ქოლობნის თემის კოოპერატივის შეერთება მარნის თემის კოოპერატივთან და გაერთიანებული კოოპერატივის დაკავშირება სამტრედიის რაიკოოპერატივთან; ვითომც ასეთი დადგენილებაც კი გამოეტანოს მარნის თემის აღმასკომს. ვინაიდან ამ საქმეში არც მარნის აღმასკომს და არც პირადად მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, ამიტომ ზემოხსენებულ **Д. М-зе-ს** ვიწვევ მედიატორულ სამართალში, ვადას ვაძლევ დღიდან ამის გამოქვეყნებისა 15 დღეს; მტყუანმა მხარემ გაზეთ „კომუნა“-ს საჯარგებლოთ გადაიხადოს 30 მანეთი ოქროთი და საქმის ვითარება იქნეს გაზეთის საშვალებით გამოქვეყნებული. ჩემის მხრით მედიატორად ვალახელებ სენაკს მაზრის პროფკავშირის თ-რე ამხ. **ალექსანდრე ოჩიგავას.**

მარნის თემის აღმ. თავ. **პ. ნოდია.**

სოფლად.

სოფ. ქვედა-თეკლათი.

9 ივნისს 1923 წ. სოფ. ქვედა-თეკლათში გაიმართა ბავშთა წარმოდგენა მასწავლებლებთა ხელმძღვანელობით. ბავშთა წარმოდგენა საუცხოოთ ჩატარდა. პატარა ბავშებმა იმოდენა შეგნება გამოიჩინეს, რომ შემოსული ფულით სკოლის დარაჯი გაისტუმრეს და სკოლის სხვა და სხვა საჭიროებას შესწირეს. საინტერესო რამ იყო პატარა ბავშები პარიკებში. ისინი სცენაზე თამამად ლაპარაკობდენ. ქვ.-თეკლათში არის ადგილობრივი დრამატიული დასი ამხ. ვალოდია ბერაიას ხელმძღვანელობით. დასი კარგად მუშაობს.

იასო თევზაია.

ზეჯეთის თემი.

ზეჯეთის თემში სამეურნეო ფრონტზე მუშაობას გლეხები კარგად აწარმოებენ. 25 მაისიდან ხვნა-თესვა მოთავებულათ ითვლება. მთელი თესვის განმავლობაში ხელშემწყობი ამიდები იყო. დათესილია დაახლოვებით 98% მიწისა, დანარჩენი კი გვალვის გამო დარჩენილია. თუმცა 30 დღეზე მეტია, რაც წვიმა არ მოსულა, მაგრამ ამოსული სიმიდი მაინც ჯერ-ჯერობით კარგია. თოხნა დაწყებულია. მხოლოთ გვალვის გამო დაზიანებულია ბოსტნები.

მ. კუპრეიშვილი.

დ. ბანძა (სენაკის მაზრა)

ბანძის რაიონში პარტიული მუშაობა თავის სიმაღლეზეა დაყენებული. 1923 წლის დასაწყისიდან სათემო პარტიული კრება ბანძის რაიონში სისტემატიურად ხდება თვეში ორჯერ — 1-15 რიცხვებში; ჩანასახთა კრება კი ოთხჯერ ხდება თვეში.

პოლიტიკური წრის მეცადინეობა ბანძის რაიონში წარმოებს თვეში ოთხ-ჯერ ა/წ. მარტის 1 რიცხვიდან.

ახალგაზდათა კომ. კავშირის და კომ პარტიის შორის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ბანძის რაიონის ინსტრუქტორი ამხ. ი. ბართაია დიდ ენერგიას ხარჯავს პარტიის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ვლ. ესიავა.

ბანძა (სენაკის მაზრა).

პარტიული მუშაობა ბანძის ორგანიზაციის № მე-3-მე ჩანასახში.

პარტიული მუშაობა ამ ჩანასახში უკვე სდგება თავის დონეზე. პოლიტიკური მეცადინეობა ჩანასახში ხდება კვირაში ერთჯერ-შაბათობით. მეცადინეობას ჩანასახის წევრები ენერგიულად ეკიდებიან. მეცადინეობის დროს ამხანაგებში ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს პარტიული ამხანაგების გონებრივად გასავარჯიშებლად. ამხანაგები მეტად დაინტერესებულნი არიან დღევანდელი საერთა შორისო მომენტით; მათ შორის მეცადინეობის დროს მერყეობას და გულ გრილობას ადგილი არა აქვს. პოლიტიკურ წრეში გადიან ბროშიურას „რუსეთის კომუნისტური პარტიის განვითარების ძირითადი მომენტი“ ა. ბუბნოვისა. ჩანასახების საერთო კრებას ესწრება რაიონის ინსტრუკტორი ი. **ბართაია**, რომლის მიერ კეთდება მოხსენებები სოფლად პარტიული მუშაობის მორიგ ამოცანაზე. პარტ. დისციპლინა ამხანაგებში კარგია. ჩანასახის წევრები აკტიურ მონაწილეობას იღებენ მიწების კომუნალურად დამუშავებაში; წერა-კითხვის უცოდინარი არც ერთი არარის ამ ჩანასახში: ჩანასახის წევრებმა დაადგინეს: იქნას გამოწერილი ყოველ-კვირეული გაზეთი „კომუნა“.

№მე 3-მე ჩანასახის მდ. **მ. კეკელია**

ქრონიკა

საქონლის ჭირი.

ხორში, ზანაში და ეწერში იჩინა თავი ციმბირის ჭირმა. მიღებულია საჭირო ზომები. ზოგან ხდება აცრაც.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

სამაზრო სამეულმა დაგზავნა მაზრაში 20 ინსტრუკტორი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის სიების შესადგენათ.

საყოველთაო სამხედრო სწავლება.

17 ივნისიდან სენაკის მაზრაში დაიწყება 1901 და 1902 წ. წ. დაბადებულთა სამხედრო სწავლება, სწავლება იწარმოებს ძველ პუნკტებში.

სრ. საკ. ც. ა. კ. მეოთხე სესია.

18 ივნისს ქ. თბილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესია, რომელზედაც 17 ივნისს მიემგზავრებიან სენაკის მაზრიდან ამხ. მ. ბედია და ს. მამულია.

წისქვილის ამუშავება ქ. ახალ-სენაკის ელექტრო-სადგურთან.

სამაზრო აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ელექტრო-სადგურთან უკვე აამუშავა წისქვილი.

ამ დღეებში ამუშავდება აგრეთვე ხერხიც.

ხიდეების გაკეთება.

სასწრაფოთ მზადდება მასალები მდ. ტარჩენსა, (ნოქალაქევსა და ბანძას შორის) და გურძემიაზე (ფოცხოში) ხიდეების გასაკეთებლად. მუშაობა დაიწყება ამ დღეებში.

სავაჭრო ქ./განყ. გახსნა.

სავაჭრო განყოფილებამ 17 ივნისიდან გახსნა თავისი ქ./განყოფილება დ. ბანძაში, სადაც მან გადაგზავნა საკმაო რაოდენობის საგლეხო ფართალი და ამერიკის ძველი ტანისამოსი. ქ./განყოფილებანი ამ დღეებში გაიხსნება აგრეთვე აბაშაში და მარტვილში.

ამერიკის ტანისამოსი ამ სამ დღეში იქნება გადაგზავნილი აგრეთვე ძველ-სენაკში, ნოქალაქევში, აბაშაში, მარტვილში და სალხინოში.

ლებარდე-ჩეგოლას აგარაკი.

სამაზრო აღმასკომმა იჯარით გასცა ლებარდე-ჩეგოლა აგარაკის გზის და ხიდეების გაკეთება. მუშაობა მოთავდება 1 ივლისამდი, რომელი დროიდან გაიხსნება სეზონიც.

ლებარდე-ჩეგოლას აგარაკის გამგეთ დაინიშნა ამხ. კ. ცავა, სალხინოს თემის აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება ლებარდე-ჩეგოლაში აგარაკის სახლების და ბინების მოსაწესრიგებლად.

ნოქალაქევის აბანო.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასცა სამაზრო აღმასკომს ნოქალაქევის აბანო. აღმასკომი უკვე შეუდგა აბანოს სათანადოთ მოწყობას. სეზონი გაიხსნება 20 ივნისიდან.

სამაზრო აღმასკომის მოქმედებანი და განკარგულებანი,

ცირკულიარულად.

სენაკის მაზრის ყველა თემთა და ქ. ყულევის აღმასკომებს. № 65.

გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მის ჩასაყენებლად გარკვეულ მდგომარეობაში გადასახადების მხრივ, ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიმდინარე წლის 2 აპრილს გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით ნაცვლად არსებულ სხვა და სხვა სახის გადასახადებისა შემოღებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებით უქმდება ყველა დღემდი არსებული სხვა და სხვა სახის გადასახადები სოფლის მეურნეზე. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ თემებში დღემდი კიდევ ადგილი აქვს ადგილობრივი საჭიროებისათვის ზოგიერთ გადასახადებს, როგორიცაა, მაგალითად: გადასახადები სკოლების და აღმასკომების დარაჯების ჯამაგირისათვის, საკანცელარიო ხარჯებისათვის და სხვა.

წინადადება გეძლევათ მიმდინარე წლის 1 ივლისამდი ლიკვიდაცია უყოთ ყველა არსებულ გადასახადებს და ამიერიდან მოხსნათ ყოველგვარი გადასახადის გაწერა ადგილობრივათ.

ეს ცირკულიარი გააცანით გლეხობას.

სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე **ს. მამულია.**

მდივანი **კ. მელიქაძე.**

1923 წ. 15 ივნისი.

აბაშის, ძველ-სენაკის, ნოქალაქევის და ბანძის უბნებში შემავალ თემთა აღმასკომებს. № 66.

მეორე ლეგიონის მეექვსე ასეულის საყოველთაო სამხედრო სწავლების გუნდის უფროსის მომართვისა გამო 13 ამა ივნისიდან **№15**, გევალებათ თქვენ გამოიყვანოთ სემეცადინოთ ძველ პუნკტებში 1902 და 1901 წ. წ. დაბადებული ახალ-გაზრდები და აღმოუჩინოთ ხსენებულ გუნდის უფროსს და ხელმძღვანელებს სათანადო დახმარება მათზე დაკისრებული მოვალეობის ასრულებაში.

სამაზ. აღმასკ. თავ. მაგ. **კ. მელიქაძე.**

საქმის მწარმოებელი **ე. ცხადაია.**

13 ივნისი 1923 წ.

სენაკის მაზრის ყველა თემთა და ქ. ყულევის აღმასკომებს. ასლი ახალ-სენაკის, ბანძის და აბაშის კოოპერატივთა კავშირებს. № 61.

უკვე მოახლოვებულია აბრეშუმის მოწევის დრო. ბევრი მოქალაქე ძველებურად მოინდომებს სახლში პარკიდან ძაფის ამოღებას. ეს საშვალება ძლიერ საზიანოა, როგორც სახელმწიფოსთვის, აგრეთვე პარკის პატრონისთვისაც, ვინაიდან პარკი უფრო ხშირად ფუჭდება, შრომის სასყიდელი ამ გზით ნახევრადაც არ მართლდება. სახელმწიფო კი დაინტერესებულია, რომ მოქალაქემ თავისი შრომა მაქსიმალურად აინაზღაუროს და მით საერთო ქონებრივი მდგომარეობა გაიუმჯობესოს. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობა უკვე ორი წელია, რაც აწარმოებს მოქალაქეებიდან პარკის ამოღებას, რომ ის გაყიდოს მაქსიმალურად საზღვარ გარეთ, ან დაამუშაოს ადგილობრივად და მით მოქალაქეებს აუნაზღაუროს პარკის ღირებულება.

ამ წელსაც მთავრობას დადგენილი აქვს ცეკავშირის საშვალებით მოქალაქეებიდან პარკის შეყიდვა, გამოუცხადეთ ყველა მეაბრეშუმეებს, რომელთაც დაურიგდათ მთავრობის თესლი, არასგზით არ აწარმონონ ადგილობრივად პარკიდან ძაფის ამოღება; წარმოადგინონ მთელი შემოსავალი რაიონულ კოოპერატივთა კავშირებში, სადაც ისინი მიიღებენ პარკის ღირებულებას (ფართლით და ფულით). თუ კი არიან დარჩენილი ისეთი მოქალაქეები, რომლებსაც წარსული წლების პარკის ღირებულება არა აქვთ მიღებული, ასეთები აუცილებლად იქნებიან დაკმაყოფილებულნი ამ დღეებში.

ამ ცირკულიარის სისწორით განხორციელება ევალება თემის აღმასკომებს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე **ს. მამულია.**

მდივანი **კ. მელიქაძე.**

11 ივნისი 1923 წ.

სენაკის მაზრის ყველა თემთა და ქალაქ ყულევის აღმასკომებს. № 59.

მიღებული ცნობებით შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ მთავარ კომიტეტში ამ უკანასკნელ დროში შემოდის სიტყვიერი და წერილობითი განცხადებები ზოგიერთ მაზრებში და რაიონებში შიმშილობის ნიშნების გაჩენის შესახებ. ვინაიდან ასეთი ცნობები ზოგიერთ შემთხვევაში სინამდვილეს მოკლებულია და არ წარმოადგენს შიმშილობის მსვლელობის სწორს სურათს, რომ შესაძლებელი იყოს მთავარი კომიტეტისათვის ხელმძღვანელობა ამ ცნობებით და დამშეულთათვის შესაფერი დახმარების აღმოჩენა, სამაზრო აღმასკომის შინა მართველობის განყოფილება გავალებთ სასწრაფოდ და არა უგვიანეს ერთი კვირისა, თქვენი პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ, შეკრიბოთ და წარმოადგინოთ დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობები; მოსალოდნელია თუ არა შიმშილობა ამ ზაფხულზე თქვენს თემში და თუ არის, რამდენ ოჯახს დასჭირდება დახმარება ოჯახის შემადგენლობის და საჭირო დახმარების რაოდენობის ჩვენებით.

სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ლომია.**

საქმის მწარმოებელი. **ცხადაია.**

6 ივნისი 1923 წ.

პასუხისმგებელი: **ხარედაქციო კოლეგია.**

განცხადება

პარასკევს, 22 ივნისს, საღამოს 5 საათზე ქ. ახალ-სენაკის საბჭოთა თეატრში ეწყობა ტანთ-საკარჯიშო საზოგადოება— **„სპარტაკი“-ს** წევრთა მშობლების **კრება.** კრების შემდეგ მშობელთათვის იქნება **უფასო წარმოდგენა.** იქნება აგრეთვე „სპარტაკი“-ს გამოსვლები.

„სპარტაკი“-ს **საბჭო.**

სენაკის სამაზრო აღმასკომის კ. მარქსის სახელობის სტამბა.